№ 244 23 ნოემბერი, სამშაბათი. 1866 – 1882 23 ნოემბერი, სამშაბათი. № 244

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-…ლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-…თაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე …ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-…цію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

…წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
…ის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., … ასოზე ნახევარი კაპ., … ზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი.

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს

აბონემენტის რიცხვში

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

I

…რ ცეცხლ შუა

…რამა 3 მოქმედ. ფრანცუზულიდამ.

II

პირველად

მეჯლისი

იტალიელი მომღერლებით

…პერეტკა 1 მოქმ., მუზიკა ოფფენ-…ბახისა. მონაწილეობს ქ. დეკერ-შენკი. …ართველი ოპერეტკ. ბ. დეკერ-შენკი.

დასაწყისი 8 საათზედ.

## …ფილისში მყოფ მოსამსახურეების საზოგადოების შესახებ.

…ყველას ძალიან კარგადა აქვს ნა…ხნობი ის გაჭირვება, რომელიც …ავშირებულია რიგიანი მოსამსახუ…ს შოვნასთან და მასთან ის უსა…თლობაც, რომელიც თითქმის ყო…ლ ნაბიჯზედ ხდება სხვა-და-სხვა …აებისაგან, ჩინოვნიკებისაგან და სა…გადოდ დამქირავებლებისგან.

…არ გაივლის დღე, რომ არ გაი…ნოთ: „მე პოვარს ვიჭერდი და …ვრის სახელობით მეჯინიბე შემხვდა“; „მოსამსახურე დავიჭირე, გამქურდა და წავიდა“—ჩივის დამქირავები. მეორეს მხრით გესმისთ მოსამსახურეების ჩივილი: „ამა და ამ კაცთან ვიყავ ამოდენი ხანი და არც არა მომცა, კიდეც გამომლანძღა და გამომაგდო; ესა და ეს სოფლელი ჩამოვიდა ტფილისში მოჯამაგირობისთვის და ამა და ამ კაცმა უფულოდ რამდენიმე წლით დაიტყვევა და შრომის სამაგიეროს ლოქიობის დასწავლებას დაჰპირდა“, და სხვ. და სხვ.

როგორც ერთის მხრით დამქირავებელნი არიან გაჭირვებაში, არ იციან ვის იჭერენ, რა ზნეობის და ხელობის კაცსა, ისე მეორე მხრით დიდს გაჭირვებაში არიან მოსამსახურე ხალხი.

ყველა ეს კარგა ხანია, რაც ძალიან კარგად იგრძნო ტფილისში მყოფმა მოსამსახურეებმა; მოიყარეს თავი, ჰქონდათ მოლაპარაკება და გადასწყვიტეს შეედგინათ საზოგადოება, რომელსაც უნდა ეზრუნვა, როგორც თავის საზოგადოების წევრებისათვის, აგრეთვე იმ დამქირავებლებისათვის, რომელთაც რიგიანი მოსამსახურის ყოლა ჰსურთ. ამ წრემ შეადგინა წესდება, ამოირჩია რამდენიმე პირი, რომელთაც უნდა ეშუამდგომლათ მთავრობის წინაშე ამ წესდების დასამტკიცებლად. მაგრამ აგერ მეორე წელიწადი სრულდება, წარდგენილ წესდების ბედ-იღბალზედ არა გვესმოდა-რა, მოსამსახურობა და იმათი დამქირავებელნი-კი ისევ იმ უხერხო მდგომარეობაში არიან, რომელშიაც იყვნენ აქამდის.

ეხლა გავრცელდა ხმა, რომ ის წესდება უკან დაუბრუნებიათ, და რა გარდაწყვეტილება დაურთია მთავრობას ამ საგანზედ, ჯერ ნამდვილად არავინ იცის.

ჩვენის აზრით, ამ გვარი საზოგადოება იმდენად სასარგებლოა ტფილისელებისათვის, რომ სინდისიც და მოვალეობაც მოითხოვს, ამორჩეული პირები მეტის გულ-მხურვალეობით მოეკიდნენ ამ საქმეს და თუ რომელისამე მიზეზის გამო თითონ არ შეუძლიანთ, ან არა ჰსურსთ ამ საქმისთვის მეცადინეობა, მაშინ საქმის გარემოება მაინც შეატყობინონ იმ საზოგადოებას, რომელმაც თავის საქმე მიანდო იმათ, რომ ხელ-ახალი განკარგულება მოხდეს. იმედია, მოსამსახურეები ამ პირველის ცდით არ გაათავებენ თავიანთ მეცადინეობას და ამ სასარგებლო საქმეს კეთილ ბოლოს მისცემენ.

## დღიური

ზედამხედველი კამიტეტი ქუთაისის მიხაილის საადგილ-მამულო ბანკისა გვთხოვს გადავბეჭდოთ ჩვენს გაზეთში გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილი შენიშვნა ამ კამიტეტისა „შრომაში“ დაბეჭდილ ცნობაზედ, რომელიც გვაუწყებდა, რომ ზოგიერთ დაწესებულების კასაში ქუთაისისა აღმოჩნდა დაკლება რამდენიმე ასი მანეთისა. ამ ხმის გამო ზედამხედველ კამიტეტს მოუხდენია მოულოდნელი რევიზია საადგილ-მამულო ბანკის კასსაში, საიდამაც აღმოჩენილა ნაღდი ფულით თუ ფასიანი ქაღალდებით სწორედ ის ჯამი, რომელიც უნდა ყოფილიყო კასის დავთრით. მხოლოდ რევიზიის დროს დაუნახავთ, რომ ბანკის მოსამსახურე პირთ ერთი თვით წინ-და-წინ წაუღიათ ხვედრი ჯამაგირები, მაგრამ ამ გვარი წესი თვით ზედამხედველი კამიტეტის გადაწყვეტილებით შემოღებულა და ამ წესით ბანკს არაფერი დააკლდებაო, რომ რომელიმე მოსამსახურე, რომელსაც წინ-და-წინ უკვე მიუღია ჯამაგირი, გამოვიდეს კიდეც სამსახურიდამაო, რადგან ამ პირების ხვედრი პროცენტები დაჭერილია ბანკში და წინა წლის მეორე წელში ეძლევათო. რაც შეეხება მას, რომ ბანკის კასას, ბატ. ფალავას დროებით ხაზინადრობის დროს დაჰკლებოდა 658 მ. და 52 კ., ეს მოხდა იმის გამო, რომ ამ დროს გახშირებული შემოსავალ-გასავალი იყო ფულისა და ეს შეცდომა კამიტეტისაგანაც აღიარებულ იქმნა მოსალოდნელად. ბ. ფალავამ ამ ჟამად უკვე შეიტანა ეს დანაკლისი ფულიო.

* * *

ჩვენ ვნახეთ ვახტანგ მეფისგან შედ-

---

…როების› ფელეტონი, 23 ნოემბერ.

## ცდა ბედის მონახევრეა.

…ეს ერთი კვირაა, რაც მამა ონოფ…კრუხივით ჩაჯდა თავის სახლში …ფეხს არსაიდ იცვლის. ათასში ერთ…ლ თუ დაუძახებენ ზიარების ან სახ…ს განათვლისათვის და გამოვა გა…დ, თორემ ისე სულ შინა ზის. …ულობასაც თავი დაანება.

…ისეთი დღე როგორ გაივლიდა, რომ …იმის სახლში არა ყოფილიყო გა…ებული ჩვენი ქებული „მრავალ…იერ“, ან თითონ არა ყოფილიყო …სთან მიპატიჟებული საქეიფოდ. …ა კი არამც თუ იმის სახლს მო…ლდა „მაღალი კომლი“, რაიცა …ში უკეთესი ნიშანია ქეიფობისა, …მედ, რაც უფრო გასაკვირველია, …ბთანაც აღარ მიდის არც სადი…დ და არც ვახშმად. ნათლობაზედ, …ხრიალებენ თუ არა ხოლმე მუ…ში აბაზებს, მაშინათვე მოიგლიჯება …გამორბის სახლში, თითქო ქადები …ედებოდნენ შინა. ღვინის სტა…საც კი ვერ ასუნებინებს ღა კაცი, მიწვდენილ კერძსაც კი უკან აბრუნებს. ალბად, რაღაც მიზეზია…

ამ ერთობ ცვლილებასთან, ჩვენდა სანუგეშოდ, ერთი ისეთი ახალი თვისება დაეტყო მის სახესა, რომელსაც შეუძლიან სრულებით გაგვიფანტოს ეჭვი, ვითომც რაიმე უბედურებამ აალებინა ხელი დროების გატარებაზედ მამა ონოფრეს. ეს თვისება გვაიმედებს, რომ მამა ონოფრეს რაღაცა ახალი ბედი უბრწყინავს მომავალში და ჯერ-ჯერობით იმის ალერსს უნდებაო, მანამ იმ ბედს ერთიანად ხელში ჩაიგდებსო; და როცა ეს დრო დადგება, მაშინ მამა ონოფრეც ხელ-ახლად დაგვიბრუნდება ჩვენა, ხელ-ახლად, უფრო უარესი ძალით გახურდება სველი ხელადის მნიშვნელობა ჩვენ ვიწრო წრეშიაო. ეს თვისება მე შევნიშნე მამა ონოფრეს იმაშია, რომ მისი თვალები მეტად დაწყნარებული სიამოვნებით გამოიყურებიან, მისი ტუჩები რაღაცა არა-ჩვეულებრივი ღიმილით უშვებენ პირიდან მოკლე-მოკლე სიტყვებს, ასე რომ, თვალების ჰლუწვა და ტუჩების პრუწვა ჩვენებურ პატარძალს მოგაგონებენ, რომელიცა ცდილობს თავი მოგაწონოთ.

ამ უკანასკნელმა იმედმა ჩვენ არ გვიმტყუნა. მართალია, მთელმა თვემ გასტანა, ვიდრე მამა ონოფრე თავის ვარსკვლავის ალერსით გაძღებოდა. მაგრამ ჩვენ იმისიც დიდად მადლობელნი ვართ, რომ სრულებით გაუმაძღარი არ გამოდგა ეს პატივცემული გვამი.

ერთ საღამოს მე რაღაც უქეიფო გუნებაზედ შევიქენი, არ ვიცი იმიტომა, რომ საკბილო არ ვინ შემხვდა იმ დღეს, რათა წითელი ნუნუით მიმეყუჩებინა გრძნობანი, თუ იმიტომ, რომ იმ დილით ჩვენი სოფლის ბოლოში უცებ გამოიჭიმა მეექვსე დუქანი, რომელიც ზალუსტამ ვამართა, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ არავითარ სავაჭროში ჩვენ გაჭირვება არ ვიგრძნოთ ხოლმე. ზანა კი რა მრჯის? იყოს დუქანი, მაგრამ ამ დალოცვილ სომხებს სოფლად ერთი ცუდი თვისება სჭირთ: თუ გსურს იმათთან მეგობრობა, უთუოდ, გინდა თუ არა, უნდა იყიდო რამა, როდესაც ახლო-მახლო მოგიხდება გავლა. არას იყიდი, და ვაი შენი ტყავის ბრალი. მოსისხლე მტრად გადაგექცევა, იმდენ რამეებს იყბედებს შენზე ჭორათა, რომ მთელ სოფლის ყბაში ჩაგაგდებს, თავზე ლაფს დაგასხამს. ეს ძალიან ძნელია.

აქამდის ხუთ სომეხსა ჰქონდა გამართული დუქანი. მე ერთი უსაქმო კაცი ვარ და, აბა, შინ რა დამაყენებს. დღეში ერთხელ მაინც უნდა აუარო თავით ბოლომდის ჩვენ სოფელს.

გზაში ყველაზედ სათვალო ადგილის დუქანია. უნდა შეხვიდე, მეტი ჩარა არ არის. გაქვს ფული, ნაღდად იყიდი, არა და „ვინა გთხოვს; ნისიად მიირთვი“. მერე ნისიისთანა არა მეძნელება-რა სოფელში. ისეთ დროს მოგაწყდება უკანასკნელი განკითხვის წამი, როდესაც შენ ავლა-დიდებაში—კალოში, ვენახში—ღვთის თვალი ტრიალებს. მაგრამ ამ თვალზედ უარესად დატრიალდება ხოლმე ზომაზე გადაჭარბებული საწყაო ლიტრა მედუქნისა, რომელსაც მიზღევს შენი სარჩოს სამი მეოთხედი.

ეხლა ექვსი დუქანი…

ასე თუ სხვაფრივ, მე ძალიან ცუდ

გენილი გვარ-ტომობის ხე, რომელიც იწყობა ადამ და ევადამ. ამ გვარ-ტომობიდამ სჩანს, რომ ის შედგენილია თანახმად დაბადებისა, რომ ნოეს რჩება სამი შვილი სემი, ქამი და იაფეტი და ამ უკანასკნელისგან შთამომავლობს ქართველთ ეროსნობა. ეს მომდინარეობა ამ გვარად ხდება: იაფეტის შემდეგ იავანი, მერე თარშე, ამის შემდეგ თარგამოსი და მერე ქართლოსი. ამ გვარად ეს ხე მოყვანილია ვახტანგ მეფის შვილის-შვილ ბაქარამდე.

***

წინადადებაა, რომ ტფილისში შესდგეს დროებითი კამისია რომლის მხედველობაში გადავა ყველა საგლეხო საქმენი ჩვენის მხრისა.

***

ზეგში დანიშნული ქართული წარმოდგენა არ შესდგა, ერთი მოთამაშის ავად-მყოფობის გამო. ხვალ, ოთხშაბათს, კიდე მოვაგონებთ მკითხველებს, ჩვენი დრამატიული დასი ითამაშებს ოპპერეტკას—„მეჯლისი იტალიური მომღერლებით“ და 3 მოქ. დრამას—„ორ ცეცხლ შუა“.

***

ქარელსა და გორს შუა, რკინის გზაზედ მომხდარ ცარცვაზე გვწერს ქარელიდამ ჩვენი კორრესპ. ბ. ტყემალაძე. „გაზეთ-ჟურნალები ხშირად გვაცნობებენ ხოლმე რუსეთის რკინის გზებზე მომხდარ სხვა-და-სხვა უბედურ შემთხვევაებს, რომლებსაც, ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენი ფოთი-ტფილისის რკინის გზა თითქმის სრულებით აცილებული იყო აქამომდე; დღეს, საუბედუროდ, ჩვენც გვეწვია ერთი ცუდი შემთხვევა. მოგახსენოთ: 19-ს ნოემბერს ტფილისიდგან მოსიარულე მატარებლით, რომელიც გამოდის ნაშუადღევის მეხუთე საათის ნახევარზე, მოდიოდენ ხსენებულ გზაზე მოსამსახურე არტელშჩიკები, (კასირები) გვარად ხოჯა-ბარანოვი და მამზინი ჯამაგირის დასარიგებლად; მაშინისტების, ქარხნის მოხელეების და სხვა-და-სხვა მუშებისათვის. როდესაც გორიდგან ქარელისკენ მატარებელი გამოვიდა სამ ვერს ნახევარზე, სამი დაიარაღებული ავაზაკიბი შეცვივდნენ მეორე კლასის ვაგონში, სადაც ისხდნენ ეს კასირები და ორივეს ერთბაშად დაჰკრეს სატევრები თავში. პირველ მათგანს დაუჭრეს: ცხვირი, მარჯვენა ხელი და თავი, მეორეს მამზინს დაუჭრეს: თავი მძიმედ, მარჯვენა ხელის თითები და მარცხენა მკლავი. ჭრილობა ორივესი საშიში არის. ფული კასირებს მოქონდათ თვრამეტ ათას მანეთამდის, რომლიდგანაც ექვსი თუმანი იმ ვაგონშივე სისხლში ეყარა; იქვე გზაზედ ნახეს: ჩემოდანი ფულისა გახსნილი და მის მახლობ დაბნეული ორი ათას მანეთამდე, სატევრის ქარქაში სისხლით გასვრილი და შავი პალტო, რომელიც გასვრილია და ეტყობა რკინის გზის ქარხანაში მოსამსახურისა უნდა იყვესო. ავაზაკებმა ეს საქმე მოახდინეს უეცრად, ასე რომ ვერც იმავ ვაგონში და ვერც მეორე ვაგონში მჯდომეებმა ვერაფრით ვერ უშველეს, რადგან ისინი მოსიარულე მატარებლიდგან გარდახტენ სწრაფად და თავს უშველეს. გამოძიება მიდის და, იმედია, თუ მარჯვედ იმოქმედეს ავაზაკებს აღმოაჩენენ, რადგან ბევრმა დაინახა მათი სახე და ტანადობა და კიდევაც აღწერეს ნიშნები.

***

დ. ონიდან (რაჭის მაზრისა) გვწერენ:

ამ რამდენიმე თვის წინედ ჩვენს დაბაში ერთი სახლის მეპატრონეებმა ჯ. და ჩ. შეიტანეს თავის ძველი ხის დუქანი 2 რუსეთის ცეცხლისაგან მზღვეველს საზოგადოებაში 4,000 მანეთად აგენტის ბ. ჩილაევის საშუალებით. ეს გარემოება არავის არ სცოდნია, სანამ ნიშანი არ მიაკრეს სახლს; მაშინ კი დაჰყარეს ხმა, რომ უეჭველად ამ ცოტა ხანში ცეცხლი გაჩნდება ონშიო. მართლაც 6—7 ამ ნოემბრის რიცხვს, 3 საათზე ნაშუალამევს, ამ დასტრახული სახლის გვერდით, ნიკო ჯაფარიძის დაკეტილს სახლში გაჩნდა ცეცხლი და რამდენიმე წამის განმავლობაში გარდაიწვა ეს სახლიც და ორი თავლა. დიდი სიმარჯვე იხმარეს ადგილობრივ მცხოვრებლებმა და გადაარჩინეს დაწვას როგორც უზრუნველ-ყოფილი სახლი, ისე სხვა სახლებიც. სახლის მეპატრონეები მაინც კიდე დიდს შიშში არიან ეხლაც და ჰსურსთ თავიანთი სახლებიც უზრუნველი გახადონ, მაგრამ ამბობენ, რომ სოფლის შენობას, გარდა ზემოხსენებული აგენტის ჩილაევისა, სხვა არავინ იღებსო და ეს აგენტი კი რიგიანად ვერ აფასებს ხოლმე საზღვევლად შესატან ქონებასაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, 16 ნოემბერი. ამ ჩვენს ოზურგეთში იშვიათად შეხვდებით, რომ საკეთილოდ დაწყებულს საქმეს კეთილი ბოლოც ექმნეს: ხედავთ გამოიწყეს რამე კეთილი საქმე: მიილაპარაკებენ, მოილაპარაკებენ, ცოტას კიდეც მოცოცხლდებიან, მაგრამ გავა დრო და კვლავ აძლევენ ტკბილ ძილს თავს. ამის შემხედვარეს მუდამ თავში გიტრიალებს ჩვენი პოეტის სიტყვები: „ოხ ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვექმნება ჩვენ გაღვიძება“!?

დავიწყოთ, გინდა, საქალებო სკოლიდგან. რამდენჯერ [illegible] აქ საქალებო სასწავლებლის გახსნა. რამდენჯერ მოუკიდიათ ამ საქმისთვის ხელი და ერთხელ კიდევაც გახსნეს, მაგრამ რაკი მოაღწია ძილის დრომ სკოლამაც მიიძინა. ქარგ ხანს გასტანა ამ ძილმა. ბოლოს რაღაც კეთილმა სიზმარმა კიდე გამოაფხიზლა მცხოვრებნი, ხელ-ახლად იწყეს ეს საქმე და დასკვნეს კიდეც საძირკველი; გახსნეს საქალებო სასწავლებელი. სასწავლებელი გაიხსნა 8 სეკტემბერს. პირველივე გახსნის დღეს შეიკრიბა 75 ქალი. მას მერმედ დღე არ გავა, რომ სასწავლებლის კარს თითო-ოროლი სწავლის მოსურნე ყმაწვილები არ მოადგნენ, მაგრამ უადგილობის გამო უკანვე ბრუნდებიან. ეხლა სასწავლებელში იმყოფება 77 მოსწავლე და ამდენივე უკან გაბრუნებულნი არიან. ესეთი სწავლის სურვილი აქვთ აქ ქალებს.

სასწავლებელი კი გაიხსნა, მაგრამ ეს არ კმარა: მაზედ ზრუნვა გვმართებს. მართალია, ამ სასწავლებელს სამი წლის საკმაო საშვალება აქვს, მაგრამ მერმე? ამ ერთ წელიწადს სამოქალაქო სასწავლებლის პატივცემულ მასწავლებლებმა იკისრეს უფასოდ შრომა. და მუდამ უფასოდ ხომ ვერ იშრომებენ, კიდეც რომ იშრომონ, თვით საზოგადოებამ უნდა იფიქროს, რომ შრომას დაფასება უნდა? სიდგან შევიძლოთ იმათი დაჯილდოება, რით შევიძლოთ სასწავლებლის შენახვა, რაკი ეს მოგროვილი ფულები შამოგველევა? რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით კი არ შეგვიძლია ამ სასწავლებლის კამიტეტზე საყვედური ვსთქვათ: ისინი მადლობის ღირსნიც არიან—განსაკუთრებით კნ. სოფიო გურიელისა, მაგრამ დრო გადის, შიშია, არ მოგვისწროს ძილმა; ეხ-

---

გუნებაზედ ვიყავ იმ საღამოს. მერე სოფლის საღამო ხომ ერთი უბედურებაა: თუ არ გეძინება, ვაი შენი ბრალი. მე ვიცი თეატრში წახვალ და იქ გაატარებ დროს შუაღამემდის! შებინდდა თუ არა, ან უნდა სხვა ამხანაგებთან, თუ ჰუზურში ჰყავის რამ ანუ ნისიის მოშორების იმედი გაქვს, ან არა და ორი-სამი ზღაპრის შემდეგ, უნდა მიზდო თავი და დაიძინო. ზღაპრის გუნება მე არა მქონდა, ღვინო მე არ დამელივნა და, ყველა ამ უბედურებასთან, ისრე შემომფრთხა ძილი, თითქო თავის დღეში არა მწვეოდეს მე ისა.

წარმოიდგინეთ ჩემი მხიარულება, თითქმის ბედნიერება, რომ ამ დროს ჩვენი უბნის ძაღლებმა გააბეს ერთი საშინელი ომი, რომელსაც ასტეხავენ ასე ერთად და ამხანაგურად მარტო მაშინ, როდესაც მამა ონოფრე ჩამოივლის ხოლმე ჩვენს უბანში. წამოვავლე კეტს ხელი, დავერიე ძაღლებს, გავფანტე, ჩავავლე სარტყელში ხელი პატივცემულ კაცსა და შემოვიყვანე ჩემ სახლში.

მე ვთქვი, ეს არის, გადავკრაეთ ერთად-მეთქი კახურსა. მაგრამ ასეთი ბოლო არა ჰქონდა ონოფრეს მობრძანებას ჩემთან. ის ნამუსიანი კაცი იყო და თავს გადასავალს არ დაუმალავდა გულითად მეგობარს. ის ჩემთან მოვიდა ალსარების სათქმელად. მე მომყავს ეს ალსარება, რომ ყოველმა კეთილმა ადამიანმა აპატიოს მას თავისი საქციელი, რომელიც იმას, თუმცა ძალიან კი არა, მაინც აწუხებს.

— ვინ იცის, თქვენ რა გგონიათ, დაიწყო იმან—მე რომ თქვენთან უცებ შევჭყვიტე კავშირი. ერთი ფიქრი ჩავიდე გულში და იმის აღსრულებას უნდებოდი. შენ კარგად იცი, შვილო, რომ მე ეს ოცი წელიწადია ვასრულებ ჩემს მოვალეობას სოფლისადმი. ვერც ერთი ჩემი „პრიხოდის“ კაცი ვერ იტყვის ჩემზედ ავსა. მე მრწამდა, რომ ჩემი მთავრობა დააფასებს ჩემს სამსახურს და სიბერის დროს მაინც არის დამაჯილდოვებს ამისთვისა-მეთქი. მაგრამ, როგორც იცი, ამ ოც წელს ჩემთვის მოწყალე თვალს არ შემოუხედნია. ძალიან მიკვირდა ასეთი გულგრილობა მთავრობისა მაშინ, როდესაც სხვები, ყოველის მხრით გაფუჭებულნი და დაქანცებულნი, ავნი, მრუშნი, ავაზაკნი, კლიაუზნიკები, სათავეში გადიოდნენ, მე ვიწურებოდი მთავრობის გულ-გრილობით ჩემდამო და მიკვირდა დიდ-ხანს. მარტო ამ უკანასკნელს დროს გამიელვა თავში ელდასავით აზრმა:—იქნება კაი-კაცობას გასავალი აღარა აქვს და მე რას ჩავცივებივარ ამ ოხერსა-მეთქი—უთხარი ჩემს თავს. ალბად დღეს სოფელი იმასა სწყალობს, ვინც ავკაცობაზე შემდგარა. რატომ არა ვცადო, რა დამიშავდება, ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალსა ლაპარაკობ, მამაო ონოფრე, წავახალისე მეც.

— მოიცა, შვილო, გამათავებინე—მე მეჩქარება... მაგრამ, ბევრი ლაპარაკი რად გინდა, აი წაიკითხე.

აქ ონოფრემ ამოიღო ფრთხილად გახვეული ქაღალდი და გარდმომცა. ეს ქაღალდი რუსულად იყო დაწერილი. ის გახლდად ასრეთ წოდებული „ოტნოშენიე“. შიგ ეწერა, ქვრივი ბლაღოჩინი იოელის მაგივრად განაგებდეთ სამღვდელოებას თქვენაო; ვიდრე ახალი ამორჩევა მოხდებოდეს, და ამისი პრიხოდიც ჩაგვიბარებია შენთვისაო.

— როგორა, განა მაგრე ერთბაშად გაგაძლიერეს და კიდეც გაგამდიდრეს? ვკითხე გაკვირვებულმა.

— აკი გითხარ—ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი—მომიგო ონოფრემ გამარჯვებით.

— ღმერთსა მადლი, მაგრამ ემაგეთი რა, რა საშუალება სცადე, რომ ელდასავით გასჭრა?

— ბევრი რომ იცოდე, შვილო დაბერდები და მოკლედ კი გეტყვი. ამას წინად ჩვენი უფროსი რომ აქეთა ბრძანდებოდა, მაშინ რაღაცა სიტყვა გადმიკრა ბლაღოჩინ იოელზე. ის რაკი „კურსოვნიკია“, თვალში ჭყავით ამოღებული. მე სულელი ვერ მივხვდი და ლოქოსავით ყბა დავაღე. ბოლოს ვიფიქრე და ვთქვი—მოდი, ვცდი, რაც მოსვლია, მომივიდეს-მეთქი. გავაკეთე არზა, სადაც იოელის გადავკიდე საყვარელი, (მერე ქვრივია იოელი და მტრობა რას არ დაიჯერებს) გავგზავნე ქაღალდი, გავადიდე და ამისთანა სამსახურისათვის ხომ ნახე, რა მომივიდა...

სტ. ჭრ—ლი.

ლავე უნდა დავიწყოთ ზრუნვა სასწავლებლის შემნახავი წყაროს ამოჩენისათვის.

სასწავლებლის კომიტეტს შეუძლია სთხოვოს შემწეობა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს, რომელიც, იმედია, ამისთანა კეთილ-საქმეს ხელს მოუმართავს; კომიტეტს შეუძლია, აიჩინოს მუდამი წევრები, გამართოს სპექტაკლები და სხვ...

ზოგიერთ პირთ აქვთ მიბარებული სასწავლებლის ფული, რად არ მოითხოვს კომიტეტი ამ ფულებს? საჭიროა დროზე ვიზრუნოთ, თორემ სასწავლებელს ფული გამოელევა და დაიხურება. ასეთი შემთხვევა პირველი არ იქნება აქ და მით უმეტესად არ მოსაწონი მთელი ოზურგეთის მაზრისაგან, რომ ერთი საქალებო სასწავლებლის შენახვა ვერ შეიძლოს, უკეთა ვსთქვათ, ვერ მოახერხოს!

ამ დღეებში ჩამოვიდა აქ სახალხო სასწავლებლების დირექტორი—არლოვი. საქალებო სასწავლებელში დირექტორმა მოისმინა რამოდემე გაკვეთილი. ასი მანეთის სხვა-და-სხვა წიგნები და საჭირო ნივთები ჩამოუტანა ბ. არლოვმა სასწავლებელს და ამით დააფუძნა სკოლისათვის პატარა წიგნთ-საცავი.

რამდენიმე სიტყვა სამოქალაქო სასწავლებელზედაც. სასწავლებელში 320 მოსწავლე არის. თითო მასწავლებელს 80—90 მოსწავლე ჰყავს. კლასებში, საუბედუროდ, საშინელი დაბალი კედლები, მეტი ვიწროობა და სიბნელეა. და, საკვირველია, რატომ არ მიაქცევს საზოგადოება ამას ყურადღებას? სახლის მოუხერხებლობით და უვარგისობით—ბავშვები სნეულდებიან, ოთახში სიბნელის გამო, თვალები უფუჭდებათ და იმის მაგიერ, რომ სასწავლებლიდგან გონების გაწვრთვნის გარდა—ფიზიკურადაც რიგიანად აღზრდილნი გამოდიოდნენ—გამოდიან დასნეულებული ყმაწვილები. ბატონო, რაკი ამდენს ამაგს ვსწევთ შვილების აღზრდაზე, ცოტა კიდევ დავხარჯოთ, ცოტა კიდევ მოვიკლოთ და რიგიანი სკოლის შენობის შესაძენად გადავდვათ.

მცირეოდენს აქაურ გამსესხებელ-ამხანაგობაზედაც ვიტყვი. ეს ამხანაგობა გაიხსნა, რამდენადაც მახსოვს, 1878 წ. ოზურგეთის და სოფ. ბახვის ამხანაგობაები ერთად მოქმედობდნენ; პირველად ბეჯითად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს, მაგრამ, რაკი ცოტა ხანი გავიდა, დაივიწყეს კიდეც მისი არსებობა, ფული და წიგნები უპატრონოდ დაჰყარეს და კაცი მისას არაფერს კითხულობდა. ბახველებმა ოზურგლებივით არ მიანებეს თავი ამ საქმეს. იმათ გამოეყვნენ ოზურგეთლების ამხანაგობას და გადაიტანეს თავისს სოფ. ბახვში; თუმცა მათი ამხანაგობის ფული დღესაც ვერ აუღიათ სრულად ოზურგეთის ამხანაგობისაგან და საქმე საჩივრად აქვთ, მაგრამ იმათი ამხანაგობის საქმე მაინც ჩინებულად მიდის და ოზურგეთის ამხანაგობას კი სძინავს. ნუ თუ აქაურ ახალგაზდობას მიდენი დრო არ აქვს, რომ ამ ფრიად კეთილ საქმესაც ხელი მოჰკიდოს და ფეხზე წამოაყენოს? არა, დრო კი აქვთ, მაგრამ მონდომება აკლიათ არ უყვართ საზოგადო საქმეზე ზრუნვა, არ უყვართ! ანკი, როგორ უნდა იზრუნონ რამე საზოგადო საქმეზე, როდესაც ერთმანეთში თითქმის განუწყვეტელი უთანხმოება, უკმაყოფილება აქვთ. გასაკვირია ასეთ პატარა ქალაქში, ასეთ მცირე საზოგადოებაში, და ეს საშინელი განხეთქილება!

ორიოდე სასწავლებელია აქ, კაცი იფიქრებ, ამ სასწავლებელთა მასწავლებლები მაინც ხელი-ხელ ჩაკიდულნი უნდა მოქმედებდნენო, ამათ მაინც უნდა ჰქონდეთ ერთმანეთ შორის მიმოსვლა, ამხანაგობაო, ესენი მაინც უნდა უწყობდნენ ერთმანეთს ხელს და ერთად, თანხმობით მოქმედებდნენ საზოგადო საქმისათვის, მაგრამ აგცილდეთ ჭირი, ამათ შორის არავითარი თანხმობა არ სუფევდეს.

თუ კი მოწინავე საზოგადოებაში ასეთი უთანხმოება მოსალოდნელია, მაშინ მდაბალ, ვითარება მოკლებულს საზოგადოებაში რაღად გვიკვირს, არევ-დარევა რომ სუფევს. ცუდს მწყემს-სამწყსოც უცუდდება.

—სა.

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ „დროების“ 233 ნომერში დაბეჭდილი არის, რომ თქვენ გწერენ ოზურგეთიდგან სამდურავს ჩემზედ, ვითომც მე ისე კაცს არ მივიღებდე სამსახურში, რომ სარგებლობა არაფერი არ მქონდეს მისგან. მიკვირს, როს ასეთ კორრესპონდენციას მიეცით ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში. მე, სტანციის უფროსს სრულიადაც არა მაქვს უფლება, რომ ჩემის ნებით მოვახდინო რამე ცვლილება სამსახურში. ახალი პირების მიღების, ან რამე სხვა ცვლილების ნება ეკუთვნის სრულად მეუფროსეს ტელეგრაფის ოკრუგისა. სტანციის მეუმფროსეს, თუმც ისურვებს, შეუძლია მიიღოს თხოვნა და წარუდგენს ოკრუგის მეუმფროსეს თავისის აზრით ყოფა ქცევაზედ, მთხოვნელის ატესტატით და თუმც იქნება ვაკანსია სადმე ოკრუგში ოკრუკის უფროსი მოგვცემს ნებას, რომ ვასწავლოთ ტელეგრაფის ხელობა; ალბად სტანციის უმფროსი იმიტომ იზამს ამას რომ საწყალ კაცს ჰქონდეს რამე შემწეობა, თორემ ის სრულიად არ არის ვალდებული, თავი იტეხოს მის სწავლაზედ. ტელეგრაფის სკოლაა იქ, სადაც ოკრუგის მართებლობა არის და მასწავლებლებს ეძლევა სამას სამასი მანეთი წელში გარდა სხვა ჯამაგირისა და მე, ჩემს დღეში, არაფერი არ მიმიღია ხაზინიდგან, როდესაც ოცამდი კაცი გავამზადე და ახლა ყველას ადგილი აქვთ; ამათგან მდიდარი არც ერთი არ არის, მაგალითებრ: ლევან უჩანოვი, რომელიც ახლა არის კანდიდატად ჩემთან ტელეგრაფისტის თანამდებობაზედ, ისეთი ღარიბი არის, თითქმის დღიური პურიც არა აქვს. ამისთვის რა უნდა გადამეხდევინებია. ბევრ სხვასაც შეუსწავლია ჩემგან ეს ხელობა, მაგრამ საფასი ერთისაგანაც არ მითხოვნია. და რომ კიდეც მეთხოვა, უკანონობა იქნებოდა? ვინ არ ითხოვს ჯაფის ფასს? მით უფრო, რომ მე ვალდებული არა ვარ სრულებით, ვასწავლო ვისმე ეს ხელობა.

თუ შტატი სრული არ მეყოლება გამზადებული ჩინოვნიკი უნდა გამომიგზავნოს ჩემმა მთავრობამ.

სინამდვილით მოგახსენებთ, რომ მე არასოდეს დიდი ყურადღება არ მიმიქცევია სწავლის მოწმობაზედ, როდესაც მთხოვნელისაგან მიღების ქაღალდს ვარდგენდი სადაც ჯერ იყო. უმთავრესი ყურადღება ყოფა-ქცევაზედ მქონდა მიქცეული. მეჭვ, ხსენებული შენიშვნაც ერთი ისეთი პირისაგან იყოს, რომელიც ამ უკანასკნელ ღირსებას მოკლებულია, და, რასაკვირველია, ამის გამო მიღებულ არ იქმნა სამსახურში ჩემთან.

ოზურგეთის ტელეგ. სტანც. უფროსი
ნ. ასათიანი.

## შენიშვნა.

„დროების“ 239 ნომრის სტატიამ შესახებ დაბადების დაბეჭდვისა, მომცა მიზეზი მოვაგონო ვისაც რიგია, რომ, როგორც მ. ხელაძის სტამბაში 1880 წელს დაბეჭდილს დავითნში, აგრეთვე ბიბლიის საზოგადოებისაგან დაბეჭდილშიაც, არის ერთი რიგიანი შეცდომა: ას პირველის ფსალმუნის მეექვსე მუხლში სწერია: ვემსგავსე მე ვერხუსა მას უდაბნოსასა და ვიქმენი ვითარცა ბუჲ ნატამალსა. აქ ვერხუი კი არა—ვარხუი უნდა იყვეს. ვერხუი უნაყოფო ხეა და ვარხუი კი, ამბობენ იერონიმე, ავგისტინე და ისიდორე, არის ისეთი ფრინველიო, რომელიც თავის გვამიდგან გამოშვებულს სისხლით ჰკურნებს თავის ბარტყებს გველის ნაკბენობისაგანაო, და სცხოვრებს ეგვიპტის მდინარის ნილოსის გარემოსო.

ამისთვის დიდი განსხვავებაა ამ ადგილას ვერხუის და ვარხუის მნიშვნელობაში. ვარხვი, ე. ი. ის ფრინველი, რომელიც თავისის სისხლით იხსნის ბარტყებს სიკვდილისაგან, უნდა ვიგულისხმოთ სიმბოლოდ იესო ქრისტესა, რომელმაც თავისის სისხლით დაიხსნა ერი.

იმედია, ეს შეცდომა არ შეეპარება დაბადებაში ფსალმუნს, და შემდეგს გამოცემაში, როგორც ხელაძის სტამბაში დაბეჭდილს დავითნში, აგრეთვე ბიბლიის საზოგადოებისაგან მშვენიერს გამოცემაშიაც გასწორებული იქმნება.

იოსებ ასალშენაშვილი.

20 ნოემბერი.

## რუსეთი

როგორც გვაცნობებს გაზ. „ახალი დროება“ ყველა სამართველო ადგილები რუსეთში შაერთებული იქნება ტელეფონებით.

— გაზეთებში გავრცელებული ხმის შესახებ, ანბობს გაზ. „რუსის კურიერი“, ვითომც მინისტრთ კომიტეტში აღიძრა სჯა, რომლითაც უნდათ აღუკრძალონ ჩინოვნიკობას და საზოგადოდ სამსახურის ხალხს გაზეთების და ჟურნალების თანამშრომლობა, ეხლა უვატყობინებენ, რომ საქმე მხოლოდ იმ ლიტერატურულს შრომის და მოღვაწეობის მხარეს შეეხება, რომელიც უკანონოა და არ შეშვენის ჩინოვნიკობას. მაგალითად, როგორც მართებლობის სამსახურში მყოფთაგან, მართებლობის განკარგულების წინააღმდეგი სტატიემის წერა და ბეჭდვა.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარანლევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

ბეკკერის თეატრი

გუნიბის მოედანზედ.

**სამშაბათს 23 ნოემბერს**

არა ჩვეულებრივი, საოცნებო და

**თვალთ-მაქცური**

# საღამო

ოთხს განყოფილებად, სხვათა შორის:

**გიპნოტიკური სეანსი ბეკკერისა,**

**დევ-გმირული ძალა**

მონაწილეობას მიიღებს ქ. ანიტა და 12 ქალი ბ. ბეკკერის ტრუპიდგან.

ადგილების ფასი: ლოჟები ლიტერ-ნი, ბელ-ეტაჟი და ბენუარი (6 კაცის ადგილი) 6 მან. და დანარჩენი 5 მან. 1 წყობა 2 მ. 50 კ., 2 და 3—2 მ., 4, 5 და 6—1 50 კ., 7, 8 და 9—1 მ. 25 კ., 10—15—1 მან.; ბალკონის 1 ადგილი 1 მ. და დანარჩენისა 75 კ.; ამფითეატრი 60 კ.; გალერეია 30 კ.

დაიწყება $7^1/_2$ საათზე.

---

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| შადარეთ ხვენი ნაი—1 მ. 10 კ. | მოხუცის ნაის—1 მ. 40 კ. |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—10)

---

**ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში** (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

**მიიღება ხელის მოწერა**

**1883 წლისა**

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედაც.

(20—3)

---

**იყიდებიან ცხენები,** ვარგისნი სამუშაოდ, შესაბმელად, ფურგუნისათვის და სხვ.

ადრესი: ევროპის სასტუმრო, № 22. (5—5)

---

საწერი

# დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდისა მეოთხედ თაბახზედ, შეიცავს ხუთს საკეთხავ მაგალითს: 1) ანბანის დედანს მსხვილის ხელისას; 2, მაგალითს მსხვილის ხელით წიგნიდამ გადმოწერისას; 3) ანბანის დედანს გამ-მეტის ხელისას; 4) დედანს (იგივე მაგალითი) გამეტის ხელით გადმოწერისათვის; 5) უმთავრესს საჭირო მაგალითებს სხვადასხვა ფორმანერით გადაწერისას.

იყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ქუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

---

დაიბეჭდა და იყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

**ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი**

# მოთხრობანი

წიგნი მეორე.

იყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. ქერესელიძესთან.

---

**წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:**

**იგავ-არაკნი**, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

**წითელი ფარანი**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ბ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

**ხატაური**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები იყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—5)

---

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის **ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

**სკოლაში და შინ საკითხავად**

**ადაიანცისა**

**გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.**

ფასი ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

გ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

**ფასი ერთი აბაზი.**

---

ახალი ქართული

# კარაბადინი

იყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

---

**ტაქსია**

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |

---

ინგლისის მაღაზიაში

# თმის ამომყვანი მაკმასტერ



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—10)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

# ყორხმაზის ქარვასლისაგან

უცხადებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ყორხმაზის ქარვასლაში, რომელიც დღეს ჩვენს საკუთრებას შეადგენს, გამართულია სხვა ქალაქებიდამ მოსულ ვაჭრებისათვის ცალკე ნომრები და სადგომი ოთახები, რომელსაც ახლა უფრო იაფ ფასად ვაქირავებთ, ვიდრე ადრე იყო. ძველი ფასები იყო: ღამის გასათევი—10 კაპ. ახლა 5 კაპ. გავხადეთ; ცალის შესაკრავი მუშის ქირა ადრე იყო ხუთი შაური, ახლა აბაზია და სხვ.

საჭიროდ ვრაცხთ გავაფრთხილოთ განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის ჩვენი მუშტრები, რომ მოერიდნონ ადრინდელ ჩვენგან დათხოვნილ არენდატორს, რომელიც თითქმის ძალით იტყუილებს მუშტარს თავის ქარვასლაში: შუაღამის პოეზდის მოსვლის დროს მუშებს აყენებს სიონის წინ, პოეზდიდამ მომავალ ფაეტონებს აჩერებენ და ამნაირად ძალა-უნებურად მიჰყავთ მუშტარი სხვა ქარვასლაში. ზოგნი ამათგანი კი მეორე დღეს ისევ ჩვენს ქარვასლაში გადმოდიან.

ჩვენვე ვკისრულობთ კომისიონრების მოადგილეობას. ჩვენს ქარვასლაში შემოსულს თითო ცალზე ვიღებთ 20 კაპ. ყოველს ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ, ე. ი. დროგისა, მარკისა, მუშისა და სხვ. თუ რამე ნაკლულევანება აღმოჩნდება, პასუხის-მგებელი ჩვენ ვიქნებით.

ამასთანავე გაცხადებთ, რომ შემდეგში ჩვენ გვსურს გავამშვენიეროთ და შევაკეთოთ ჩვენი ქარვასლა, ასე რომ მუშტარს ყოველი შეღავათი და საშუალება მიეცეთ თვის საქმის კარგად და სანქაროთ წარმოებისათვის.

ძმანი იაგორ და ონანა ჰარუნ **სარქისოვები.**

(10—5)